

პასიური საარჩევნო უფლება და „შეფარული“ საარჩევნო ცენზები

თამარ ქეცბაია¹

სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ამ პრინციპის ვიწროდ განმარტებისას, აქცენტი გადადის დემოკრატიის პროცედურულ მხარეზე, სადაც ხალხის სუვერენული ძალაუფლება პერიოდული არჩევნების გზით ხორციელდება, ხოლო ხელისუფლება აღიქმება ისე, თითქოს ის ხალხისგან განცალკევებულ აბსტრაქციას ან მოქალაქეებისგან დისტანცირებულ, პრივილეგირებულ ჯგუფს წარმოადგენს. თუმცა ასეთი ხედვა უგულებელყოფს მის მატერიალურ განზომილებას, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ არჩევნებში ხალხის მონაწილეობას, არამედ, მათ შორის, მმართველობის პროცესში უწყვეტ ჩართულობას წარმომადგენლობითი და მონაწილეობითი მექანიზმების საშუალებით.

ამასთან, მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ დემოკრატიული პროცესის ორივე მხარეს კვლავ ხალხი დგას: ერთ მხარეს არიან კერძო მოქალაქეები, რომლებიც ირჩევენ, ხოლო მეორე მხარეს - საჯარო თანამდებობის პირები, რომლებიც დროებით გამოეყოფიან პირველ ჯგუფს და ახორციელებენ ხალხის მიერ მინდობილ წარმომადგენლობით მანდატს და, რაც მთავარია, ანგარიშვალდებული არიან მათ წინაშე.

შესაბამისად, წარმომადგენლობით დემოკრატიაში პასიური საარჩევნო უფლება (მოქალაქის უფლება, იყოს არჩეული საჯარო ხელისუფლების ორგანოებში) ბევრად მეტია, ვიდრე ინდივიდუალური პოლიტიკური ამბიციის რეალიზება. ის წარმოადგენს დემოკრატიის ფუნდამენტს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ქვეყნის მართვა არ იქცეს ვიწრო ელიტების ექსკლუზიურ პრივილეგიად. ამისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ არჩევნების გზით თანამდებობის დაკავება სრულად მიენდოს პოლიტიკურ პროცესს: კანდიდატის სამანდატო საქმიანობასთან შესაბამისობა წყდება ქვემოდან ზემოთ (ამომრჩევლის ნებით) და არა - პირიქით - კანონმდებლის მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.² ამ პროცესში ადმინისტრაციული ფილტრების უკონტროლო შემოღება კანონმდებელს აძლევს შესაძლებლობას, მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფები პოლიტიკურ ასპარეზს ხელოვნური ბარიერით ჩამოაშოროს, რაც ძირს უთხრის საერთო-სახალხო ლეგიტიმაციას და ხელისუფლებას ვიწრო სეგმენტის ინტერესების გამტარებლად აქცევს.

¹ კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, Email: t.ketsbaia@ug.edu.ge

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თეიმურაზ ტუღუშის და ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 14 ივნისის N2/2/702 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პარ. 82. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16602>

სწორედ ამიტომ, როცა ვსაუბრობთ თავისუფალ არჩევნებზე, რომელიც სახალხო ნების თავისუფალ ფორმირებას ეფუძნება, ჩვენ ვზრუნავთ არა მხოლოდ კენჭისყრის დღეს მიმდინარე პროცესებზე, არამედ არჩევნების მოსამზადებელ პერიოდზეც - იმ ეტაპზე, როდესაც, მათ შორის, კანდიდატთა იდენტიფიცირება და მათი პოლიტიკურ ველზე დაშვება ხდება.³

ამ მხრივ საყურადღებოა 2026 წლის მარტში განხორციელებული ცვლილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების“ შესახებ კანონში და 2025 წლის მიწურულს მიღებული ახალი „საარჩევნო კოდექსით“ დაწესებული შეზღუდვის კომბინირებული ეფექტი, რომელიც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციასთან“ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს 8 წლის განმავლობაში ართმევს საპარლამენტო მანდატის მოპოვების შესაძლებლობას.

კერძოდ, ახალი საარჩევნო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2025 წლის 29 დეკემბერს,⁴ პირდაპირ კრძალავს საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიულ სიაში არაწევრი პირების შეყვანას. ამ აკრძალვამდე პარტიული სიით მონაწილეობა შეზღუდული იყო მხოლოდ სხვა პარტიის წევრისთვის.⁵ ვინაიდან 2024 წლიდან საქართველო სრულად პროპორციულ სისტემაზე გადავიდა, პარტია წარმოადგენს პარლამენტში მოქალაქის მოხვედრის ერთადერთ პლატფორმას, შესაბამისად, აღნიშნული აკრძალვა პირდაპირ დაკავშირებულია პასიური საარჩევნო უფლების რეალიზებასთან.

პარალელურად, 2026 წლის 4 მარტს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონში ძალაში შესული ცვლილების თანახმად,⁶ დაუშვებელია პარტიის წევრი იყოს პირი, რომელმაც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციასთან“ დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო შემოსავალი (სრულად ან ნაწილობრივ). აღნიშნულ პირს ეკრძალება პარტიის წევრობა ბოლო შემოსავლის მიღებიდან 8 წლის განმავლობაში. ეს შეზღუდვა ხსნის ზემოთ ხსენებული კუმულაციური ეფექტის ლოგიკას და

³ იქვე.

⁴ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, N1253-IVმს-XIმპ, 17/12/2025, ვებგვერდი, 29/12/2025, მუხლი 129, მე-4 ნაწილი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6720607?publication=0>

⁵ 2023 წლის 6 ოქტომბრამდე შეზღუდვა ვრცელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს პარტია მონაწილეობდა არჩევნებში. 6 ოქტომბრის ცვლილებით, გაფართოვდა შეზღუდვა და მოიცვა ყველა პირი, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიაში პარტიის წევრად ირიცხებოდა. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, N3560-XIIIმს-Xმპ, 06/20/2023, მუხლი 1, პუნქტი 30.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5931684?publication=0#DOCUMENT:1;>

⁶ საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N1384-Vმს-XIმპ, 04/03/2026, მუხლი 1, პუნქტი 3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6802958?publication=0#DOCUMENT:1>

აჩვენებს, თუ როგორ ხდება ე.წ. „უცხოეთის აგენტის“ ჩამოშორება საპარლამენტო საქმიანობიდან ორი მოწვევის ვადით.

შემთხვევითი არც ტერმინ „უცხოეთის აგენტის“ ხსენებაა, რადგან ამ კონკრეტული შეზღუდვის მიზნებისთვის, კანონი ზედმიწევნით ზუსტად იმეორებს უცხოური ძალისა (ე.წ. პრინციპალი) და უცხოური ძალის გამტარებელი ორგანიზაციის (ე.წ. „აგენტი“) დეფინიციას,⁷ რომელიც საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში 2024 წლის 28 მაისს მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონით⁸ გაჩნდა.⁹

ამასთან, საინტერესოა, რომ თავის დროზე, აღნიშნული სამართლის სუბიექტების შემოღების გაცხადებულ მიზანს სათანადო, გამჭვირვალე რეესტრის შექმნა წარმოადგენდა, ხოლო საზოგადოების ინტერპრეტაციები და ვარაუდები ამ ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული ფიზიკური პირების მიმართ სხვა სახის ღონისძიებების გატარებისა ან რაიმე სახით მათი უფლებების შეზღუდვის შესახებ, სპეკულაციად ფასდებოდა.

თუმცა მიმდინარე წლის მარტში მიღებული კანონპროექტის (მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებთან დაკავშირებით) განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ეს ორგანიზაციები და მათთან შრომითი ხელშეკრულებით დაკავშირებული პირები დემოკრატიული პროცესებისთვის გარკვეულწილად „საფრთხის შემცველ სუბიექტებს“ წარმოადგენენ და კანონმდებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია ამ ნიშნით („აგენტ“ ორგანიზაციებთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა და თანხის აღება ნებისიერი სახის ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ) პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა.

„პოლიტიკური პარტია, როგორც საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა გაერთიანება, მნიშვნელოვანია შედგებოდეს იმ პირთაგან, რომელთაც არ ამოძრავებთ ქართულ სახელმწიფოებრიობაზე უპირატესი და მის

⁷ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონით დაწესებული შეზღუდვის მიზნებიდან გამომდინარე, უცხოურ ძალად მიიჩნევა როგორც უცხოელი ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე დაფუძნებული ორგანიზაციული წარმონაქმნები ან უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტები. გავლენის გამტარებლად კი შეიძლება იქცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (გარკვეული გამონაკლისების გარდა), მაუწყებელი ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას, ან ფლობს ინტერნეტსაშუალებებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს, თუ: ა) იღებს უცხოური ძალისგან დაფინანსებას და ბ) ასეთი შემოსავალი მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტს შეადგენს.

⁸ საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, N4194-XIVმს-Xმპ, 28/05/2024. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0>

⁹ მართალია, ეს კანონი არ იცნობს ტერმინ „უცხოეთის აგენტს“, თუმცა მისი ძალაში შესვლიდან მალევე მიღებული კანონიდან - „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“⁹ - გამომდინარე, რომელიც ამავე ურთიერთობის უფრო მკაცრ რეგულირებას ემსახურება, საზოგადოებაში განხილული ტერმინები („უცხოური ძალების ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ და „უცხოეთის აგენტი“), ხშირად სინონიმებად მოიხსენიება.

ფარგლებს მიღმა არსებული გარე ინტერესი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის წევრობის ისეთ გამომრიცხველ გარემოებას, რომელიც მიუთითებს მის ფინანსურ დამოკიდებულებას უცხოურ ძალასთან“ - ვკითხულობთ განმარტებით ბარათში.¹⁰

კანონპროექტის ზეპირი განხილვისას კანონპროექტის ავტორებმა განმარტეს, რომ უცხოურ ფულს დაჰყვება უცხოური ინტერესი და ისეთი ადამიანები, რომელთაც ერთხელ მაინც მიუღიათ უცხოური ფული (ამ ფორმით), ამ ინტერესის მატარებლები არიან. იმისთვის, რომ ეს ადამიანი გათავისუფლდეს გავლენისგან, მას სჭირდება ე. წ. „გაგრილების პერიოდი“. აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა, თავის მიერ დასახელებული მიზნის მისაღწევად - ე. წ. „გაგრილებისთვის“, გონივრულ და აუცილებელ პერიოდად სწორედ 8 წელი მიიჩნია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გამოკვეთილია პირთა ჯგუფი, რომელსაც 8 წლით უზღუდება პასიური საარჩევნო უფლება - პარლამენტის წევრად არჩევის შესაძლებლობა და გამოკვეთილია ოფიციალურად გაცხადებული მიზანი, რომლის მისაღწევადაც ეს შეზღუდვა წესდება. შესაბამისად, საინტერესოა იმის დანახვა, რა შეზღუდვებს აწესებს თავად კონსტიტუცია, უშვებს, თუ - არა ამგვარი ირიბი ცენზის დაწესების შესაძლებლობას და თუ უშვებს, რა მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს ის.

საპარლამენტო არჩევნებზე პასიური საარჩევნო უფლების სუბიექტი და შეზღუდვები

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციის ამ დებულებით დაცულია არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რაც, მათ შორის, მოიცავს პირის შესაძლებლობას, მოახდინოს პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაცია და არჩევნების გზით დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა.¹¹

ძირითადი უფლებების დამდგენი კონსტიტუციური ნორმები, როგორც წესი, თავად მიუთითებს მათი შეზღუდვის ფარგლებსა და საფუძვლებზე. აღნიშნული ნორმა კი მხოლოდ განსაზღვრავს საარჩევნო უფლების მქონე სუბიექტებს (საქართველოს მოქალაქე, 18 წლის

¹⁰განმარტებითი ბარათი - საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N1384-Vმს-XIმპ, 04/03/2026, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/413810>

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N 3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

ასაკიდან) და არ მიუთითებს ამ უფლების შეზღუდვის ფარგლებსა და საფუძვლებს. ამასთან, ამ მუხლის მეორე პუნქტი განსაზღვრავს იმ სუბიექტებს, რომლებიც ამოირიცხებიან საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრიდან (სასამართლოს განაჩენით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირები ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირები, რომლებიც მოთავსებული არიან შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში).

თავის მხრივ, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს სპეციალურ მოთხოვნებს (ცენზებს) პარლამენტის წევრობის კანდიდატისთვის: ასაკობრივი ცენზი (25 წელი), ბინადრობის ცენზი (10 წელი) და ნეგატიური ცენზი (თავისუფლების აღკვეთა სასამართლოს განაჩენით). სხვა პირდაპირ შეზღუდვას საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს.

აღნიშნულ ეროვნულ სტანდარტს ეხმიანება ვენეციის კომისიის „საარჩევნო საკითხებში კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი“, რომლის მიხედვითაც, პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევა/შეზღუდვა/შეჩერება ზოგადად შესაძლებელია და ამის საფუძველი უნდა იყოს ასაკი, მოქალაქეობა ან ბინადრობა. ნებისმიერი სხვა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი კუმულაციური (ერთობლივი) პირობების დაცვით:¹²

- ეს გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით;
- დაცული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპი;
- უფლების ჩამორთმევა უნდა ეფუძნებოდეს ფსიქიკურ მდგომარეობას ან სისხლისსამართლებრივ განაჩენს მძიმე დანაშაულისთვის;
- ამასთან, პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს პირდაპირი (მკაფიოდ გამოხატული) გადაწყვეტილებით. თუმცა ფსიქიკური ქმედუნარობის (საქართველოს კანონმდებლობა იცნობს მხარდაჭერის მიმღებ პირს) საფუძველით უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში, ასეთი პირდაპირი გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს უშუალოდ ქმედუნარობას და ავტომატურად იწვევდეს სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევას.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი საარჩევნო სისტემით, საპარლამენტო არჩევნების ერთადერთი სუბიექტი შეიძლება იყოს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული პარტია, მნიშვნელოვანია განხილვა კონსტიტუციით გათვალისწინებული

¹²ვენეციის კომისია, საარჩევნო საკითხებში კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი: სახელმძღვანელო პრინციპები და განმარტებითი ბარათი, CDL-AD(2002)023rev2-cor, მიღებულია ვენეციის კომისიის 51-ე და 52-ე პლენარულ სესიებზე (ვენეცია, 2002 წლის 5-6 ივლისი და 18-19 ოქტომბერი, გვ. 5 და 14. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2002\)023rev2-cor-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2002)023rev2-cor-e)

ე. წ. „თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის“ პრინციპისა და მისი მექანიზმისა, რომელიც, ექსტრემალურ შემთხვევაში, უშვებს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის აკრძალვას.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნასა და საქმიანობას, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.

შესაბამისად, მოქალაქეს შეიძლება შეუზღუდოს არჩევნების გზით პარლამენტის წევრის მანდატის მოპოვება, თუ ის პლატფორმად არაკონსტიტუციური მიზნებით შექმნილ ან ასეთი მიზნებით მოქმედ პარტიას იყენებს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მინიჭებული უფლებამოსილებით, შესაძლებელია ასეთი პარტიის გაუქმება. ამასთან, სასამართლოს შეუძლია აკრძალული პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტაც.¹³

მეტიც, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2025 წლის 16 ოქტომბერს შესული ცვლილებები¹⁴ გარკვეულწილად აფართოებს კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებს და პარტიის არაკონსტიტუციურად ცნობისა და მოსარჩელის მიერ ამის პირდაპირ მოთხოვნის შემთხვევაში, ითვალისწინებს ისეთი თანმდევი სამართლებრივი შედეგების დადგომას, როგორცაა შესაბამის პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული სათანადო პირისთვის პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა (ვადა მითითებული არ არის), მათ შორის, პოლიტიკური პარტიის წევრობის, საყოველთაო არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის დაკავების აკრძალვა ან არჩევნებში წარდგენილი პარტიული სიიდან პირის ამორიცხვა.

ამ კონტექსტში, სამართლებრივი განსაზღვრულობის კუთხით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის თეორიული შესაძლებლობა, რომელსაც „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი იძლევა. კერძოდ, შესაძლოა წარმოიქმნას ტერმინის - *არაკონსტიტუციურად ცნობილ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული სათანადო პირის* -

¹³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60(4(ვ)).

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

¹⁴ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, N988-IVმს-XIმპ, 16/10/2025, მუხლი 1(1). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6647832?publication=0>

ფართო ინტერპრეტაციის საფრთხე, რადგან არ არსებობს მისი ოფიციალური დეფინიცია და ბუნდოვანია რას შეიძლება მოიცავდეს ის. ამგვარი ტერმინის შემოღება მით უფრო პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კონსტიტუცია მკაცრ ჩარჩოს ადგენს, როდესაც სასარჩელო უფლების მქონე პირებისთვის ზღუდავს მოთხოვნის ფარგლებს (პარტიის აკრძალვა და აკრძალული პარტიის სიით გასული პირის მიმდინარე მანდატის შეწყვეტა) და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით, ზღუდავს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამასთან, კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას ექსპლიციტურად განსაზღვრავს ორივე შემთხვევაში, იქნება ეს პარტიის გაუქმება თუ არჩეული წევრისთვის მანდატის შეწყვეტა. თუმცა არაფერი მიაჩნდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაზე, პასიური საარჩევნო უფლება ჩამოართვას ნებისმიერ პირს, თუკი მას არაკონსტიტუციურ პარტიასთან დაკავშირებულ სათანადო პირად მიიჩნევენ.

ამასთან, საგულისხმოა, რომ ორგანული კანონი არ აწესებს მკაფიო ჩარჩოს (კრიტერიუმებსა თუ დროით შეზღუდვებს), რაც „სათანადო პირების“ შემთხვევაში ერთგვარ „ულიმიტო ირიბ ცენზს“ ადგენს. ნებისმიერი საკანონმდებლო კონსტრუქცია, რომელიც ამ ჩარჩოს მიღმა ტოვებს პირის უფლების შეზღუდვის საფუძვლებს, შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონსტიტუციური სტანდარტიდან გადახვევის რისკის შემცველი მექანიზმი.

ერთადერთი გარანტია, რომელიც მოქალაქეს ამ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს, არის ის ფაქტი, რომ მისი უფლების ჩამორთმევა საკონსტიტუციო სასამართლოს ხელშია, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოში „კონსტიტუციის მცველ“ ინსტიტუციას წარმოადგენს. შესაბამისად, სწორედ მასზეა იმ უფლებამოსილებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, რომელიც, მისი შეფასებით, უშუალოდ კონსტიტუციიდან არ მომდინარეობს. როგორ განმარტავს ამ უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლო - დაიდგენს, თუ საკუთარი კონსტიტუციური მანდატის შეუსაბამოდ გამოაცხადებს, ეს მხოლოდ პრაქტიკაში ან შესაბამისი საკონსტიტუციო სარჩელის (ამ უფლებამოსილების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით) არსებობის შემთხვევაში გამოვლინდება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა იმის ანალიზი, თუ როგორია ამ დრომდე საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვა პასიურ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით და შეფასების რა სტანდარტს (ტესტს) იყენებს იგი იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციისგან განსხვავებული, ორდინალური კანონმდებლობით დადგენილი ცენზების კონსტიტუციურობას აფასებს.

პასიური საარჩევნო უფლება და საარჩევნო ცენზები საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობისას დაწესებულ ბარიერებზე 2013 წლის 11 აპრილის 1/1/539 გადაწყვეტილებაში იმსჯელა. საქმეზე, სადაც მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მხოლოდ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარული კანდიდატისთვის 5 000- ლარიანი დეპოზიტის განთავსების ვალდებულებას, საკონსტიტუციო სასამართლომ თანასწორობის პრინციპთან შეუსაბამობა დაადგინა. ამ საქმეში სასამართლომ ჩამოაყალიბა ამოსავალი პრინციპი, რომლის თანახმადაც, მართალია, საარჩევნო პროცესის მოწესრიგებისას, სახელმწიფო მიხედულების ფართო ზღვრით სარგებლობს, თუმცა მის მიერ დადგენილმა მექანიზმმა არ უნდა გამოიწვიოს უფლებით სარგებლობის შეუძლებლობა. მათ შორის, „არ უნდა იყოს ისეთი შინაარსის, რაც არსებითად, საგრძნობლად, მნიშვნელოვნად დააცილებს პირებს უფლებით სარგებლობის თანაბარი შანსებისგან“.

სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი ბარიერი (იქნება ეს ფინანსური დეპოზიტი თუ სხვა ადმინისტრაციული პირობა) არ უნდა იყოს დასახული მიზნის არათანაზომიერი, განზრახ შექმნილი წინაღობა, რომელიც საარჩევნო უფლების „პრივილეგიად ტრანსფორმირებას“ გამოიწვევს.¹⁵ სასამართლო გარკვევით უთითებს, რომ „არჩევნების, როგორც სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უშუალო გზის დემოკრატიულობის უზრუნველყოფა თავად არ უნდა გადაიქცეს მოქალაქეთა ამ უფლების უგულებელმყოფი, გამომრიცხველი. არჩევნების დემოკრატიულობაზე ზრუნვას აზრი და გამართლება არ ექნება, თუ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ“.¹⁶

აღნიშნული გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, უშუალოდ საარჩევნო უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით დასაშვებ ფარგლებზე მოუწია მსჯელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის 3/3/600 გადაწყვეტილებით. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი შეზღუდვა, რომლის თანახმადაც, პირი ვერ მონაწილეობდა საკრებულოს წევრის არჩევნებში, თუკი იგი, არჩევნების დანიშვნამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში, მუდმივად არ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ნორმა საარჩევნო უფლების შესახებ არაფერს ამბობს დაცული უფლების სფეროს შესაძლო შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებზე, ეს გარემოება საარჩევნო უფლების

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-36. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=902>

¹⁶ იქვე.

აბსოლუტურობას არ ნიშნავს. ამასთან, შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის განუხრელი დაცვით და იმგვარად, რომ არ დაირღვეს აღნიშნული მუხლით დაცული უფლების არსი.¹⁷ მოცემულ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ შეზღუდვის მიზანი სცილდებოდა დემოკრატიული მმართველობის იმ საფრთხეების პრევენციას, რომლებიც ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩევით შეიძლება წარმოქმნილიყო. რეალურად შეზღუდვა განპირობებული იყო კანდიდატის არჩევის პოლიტიკური მიზანშეწონილობით. ეს კი ვერ იქნება ამ უფლების ორდინალური კანონმდებლობით შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი.¹⁸

ასევე საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს 2026 წლის 12 თებერვლის განჩინება 3/1/1900, რომლითაც, მართალია, სარჩელი არსებითად განსახილველად არ მიიღო, თუმცა მოსარჩელეს შესთავაზა ერთგვარი ტესტი, რომლითაც პასიური საარჩევნო უფლების დარღვევას შეაფასებდა. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის დასასაბუთებლად, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, რომ ეს შეზღუდვა საარჩევნო სუბიექტს არაპროპორციულ ტვირთს აკისრებს, არის თვითმიზნური ან/და არ ემსახურება ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩევისგან მომდინარე საფრთხეების პრევენციას და შედეგად, გაუმართლებლად აბრკოლებს პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციას.¹⁹

მიუხედავად პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვისადმი სასამართლოს მიერ მეტ-ნაკლებად გასაგები მიდგომისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებდა ორდინალური კანონმდებლობის საფუძველზე ამ უფლების ჩამორთმევას, მან „თავი აარიდა“ არსებით ანალიზს, შეზღუდვის პასიურ საარჩევნო უფლებასთან თავსებადობის მხრივ. საქმე ეხება ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირისთვის პასიური საარჩევნო უფლების ავტომატური ჩამორთმევის კონსტიტუციურობას.

კერძოდ, გასაჩივრებული იყო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ითვალისწინებდა 3 წლის ვადით პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევას

¹⁷საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება N3/3/600 საქმეზე საქართველოს მოქალაქე კანა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-27. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=571>

¹⁸ იქვე, II-36-40.

¹⁹საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2026 წლის 12 თებერვლის განჩინება N3/1/1900 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-12. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=19283>

ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელისთვის, ხოლო ნარკოტიკული საქმიანობის ან ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი პირის შემთხვევაში - 5 წლის ვადით.²⁰

ამ მხრივ დატოვებული მნიშვნელოვანი სივრცის ამოვსებას ემსახურება მოსამართლეების - ირინე იმერლიშვილისა და თეიმურაზ ტულუშის - განსხვავებული აზრი.²¹ მათ ამ შეზღუდვის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა სწორედ სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით დაასაბუთეს.

კერძოდ, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეთა მოსაზრებით, ზოგადად, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, ასარჩევი კანდიდატის შესაფერისობა ამომრჩევლის ნებით უნდა წყდებოდეს. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, დემოკრატიული მმართველობისა და მისი ძირითადი ღირებულებების დასაცავად, კანონმდებელს შეუძლია დააწესოს დამატებითი მოთხოვნები კანდიდატთან მიმართებით. ამასთან, ამ პროცესში აუცილებელია, რომ ეს მოთხოვნები მიემართებოდეს ვიწროდ დემოკრატიული მმართველობისა და მისი ძირითადი ღირებულებებისთვის რისკის შემცველი ქმედებების ნეიტრალიზებას. სამწუხაროდ, არც განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების დასაბუთებაში გვხვდება უფრო მკაფიო მსჯელობა ამ გამონაკლის შემთხვევებზე, რადგან მოცემულ შემთხვევაში, მარტივად იდენტიფიცირებადად მიიჩნეის ის, რომ სადავო ნორმები ამგვარ ეგზისტენციალურ საფრთხეებს არ შეიცავდა (რასაც, მათი მოსაზრებით, ვერც მოპასუხე მხარე ადასტურებდა).

განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ მოცემულ საქმეზე პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის მიზანი სრულად მიემართებოდა დასაკავებელ თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობის უზრუნველყოფას და სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მოხმობით - „კანონმდებელი არ არის უფლებამოსილი, დაადგინოს შეზღუდვა პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობისთვის, რომელიც უკავშირდება თანამდებობასთან მეტად შესაბამისი, კვალიფიციური კანდიდატის არჩევის ზოგად მიზანშეწონილობას, რადგან მითითებული სკიოთხი დამოკიდებულია კონსტიტუციაზე, რომელიც არჩევნების გზით თანამდებობის დაკავებას ექსკლუზიურად პოლიტიკურ პროცესსა

²⁰ამავე კანონის მიხედვით, შეზღუდვის მოქმედების ვადის დინება იწყებოდა: თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას - განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას - გამოსაცდელი ვადით დაწყების მომენტიდან, ხოლო არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებისას - საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან).

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თეიმურაზ ტულუშის და ირინე იმერლიშვილის - განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 14 ივნისის N2/2/702 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პარ.82. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16602>

და ამომრჩევლის თავისუფალ ნებას ანდობს“ - მიიჩნის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შეცდა, როდესაც სადავო რეგულირება კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ არ ცნო.

საგულისხმოა, რომ სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაუჭრელად (ღიად) დატოვებისა და კანონმდებლის ფართო დისკრეციის ირიბად აღიარების შემდეგ, არსებული შეზღუდვები კიდევ უფრო გამკაცრდა. კერძოდ, 2015 წლის დეკემბრის შემდეგ (სარჩელის შეტანის მომენტიდან), „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საფუძვლები ეტაპობრივად გამკაცრდა და შესაბამისად, პასიურ უფლებაში ჩარევის ხარისხიც დამძიმდა.

თუ ადრე უფლების ჩამორთმევა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ავტომატური შედეგი იყო, შემდგომმა ცვლილებებმა ეს სანქცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზეც (თავდაპირველად, მცენარე კანაფისა და მარიხუანის მცირე ოდენობით მოხმარებაზე) განავრცო.²² ამ შემთხვევაში „დასჯა“ მოსამართლის დისკრეციას დაექვემდებარა, რაც უფლების 3 წლამდე ვადით ჩამორთმევის შესაძლებლობას გულისხმობდა.

კანონმდებლობის გამკაცრების ტენდენცია კიდევ უფრო გამოიკვეთა 2025 წლის აპრილს²³ და ივლისში²⁴ განხორციელებული ცვლილებებით: ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის უფლების ჩამორთმევის ვადა გაიზარდა (შესაძლებელი გახდა 5 წლით ჩამორთმევა), ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ნუსხა, რომელიც ამგვარი შეზღუდვის საფუძველი შეიძლება გახდეს, გაფართოვდა.²⁵ შედეგად, მოსამართლის მიერ განსაზღვრული უფლების ჩამორთმევის ზედა ზღვარმა 5 წელს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია ინდივიდუალურად იმსჯელოს თითოეულ შემთხვევაზე და ეს

²² საქართველოს კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 3776-ლს, 30/11/2018.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4383819?publication=0>

²³ საქართველოს კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 504-IIIს-XIმპ, 16/04/2025.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6475936?publication=0>

²⁴ საქართველოს კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 927-IIIს-XIმპ, 02/07/2025.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6560345?publication=0>

²⁵ საფუძვლად დაემატა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენა: „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება ან/და ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების ფაქტის დასადგენად შემოწმებისთვის თავის არიდება“. ასევე სამართალდარღვევა, გათვალისწინებული 1002-ე მუხლით: „მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება ან/და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის მოყვანისთვის ვარგისი თესლის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, მატერიალური სარგებლის გარეშე გადაცემა ან/და რეალიზაცია“.

მიდგომა არ გულისხმობს პასიური საარჩევნო უფლების ავტომატურ ჩამორთმევას, ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა განსხვავდება სისხლის სამართლის პროცესისთვის დამახასიათებელი მტკიცების მაღალი სტანდარტისა და საპროცესო გარანტიებისგან. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მოსამართლის მიერ სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობის მიუხედავად, უფლების დაცვა სათანადო გარანტიებით არ არის უზრუნველყოფილი.

საკითხის სიმწვავიდან და გამოკვეთილი შეზღუდვების ტენდენციიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ამ საკითხზე მსჯელობა. ამ მნიშვნელობის უგულებელყოფით თუ იგნორირებით კი, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ გარკვეულწილად დაწია დაცვის ის სტანდარტი, რომელსაც წლების განმავლობაში, პასიურ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით, თანმიმდევრულად აყალიბებდა და რომელსაც, თავის მხრივ, ბევრი პრობლემური ასპექტი ჰქონდა, თუმცა მაინც განვითარების გზას გადიოდა.

ამ ეტაპზე, შეგვიძლია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოკვეთილ მიდგომად მივიჩნიოთ ორი მთავარი ასპექტი, რომლებიც შემდეგი მსჯელობისთვის დაგვეხმარება:

1. დაწესებული ცენზების პასიურ საარჩევნო უფლებასთან მიმართებით დადგენილი სტანდარტი - კანონმდებელი უფლებამოსილია, დააწესოს დამატებითი მოთხოვნები კანდიდატთან მიმართებით, თუმცა ეს მოთხოვნები უნდა მიემართებოდეს ვიწროდ დემოკრატიული მმართველობისა და მისი ძირითადი ღირებულებებისთვის რისკის შემცველ ქმედებათა ნეიტრალიზებას და აშკარა უნდა იყოს, რომ ამგვარი რეგულირება, ცალკეულ პირთა მხრიდან მომდინარე, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული საფრთხის პრევენციას ემსახურება. ამავდროულად, ნებისმიერი შეზღუდვა დასამტკიცებია მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის განუხრელი დაცვით და იმგვარად, რომ არ დაირღვეს დაცული უფლების არსი.

2. დაწესებული ცენზების თანასწორობის პრინციპთან მიმართებით დადგენილი სტანდარტი - ნებისმიერი დიფერენცირებული მოპყრობა საარჩევნო სუბიექტების მიმართ კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თანაზომიერი საშუალება უნდა იყოს და არა - თვითმიზნური, რაც, სინამდვილეში, ეწინააღმდეგება დეკლარირებული მიზნის მიღწევას. კანონმდებელმა არ უნდა დაუშვას ისეთი ბარიერების შექმნა, რომლებიც საარჩევნო უფლებას გარკვეული ჯგუფისთვის მიუწვდომელ სიკეთედ ან პრივილეგიად აქცევს.

2026 წლის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც შრომითი ურთიერთობის საფუძვლით მოქალაქეთა ჯგუფს 8 წლის განმავლობაში ართმევს პასიურ საარჩევნო უფლებას - იყოს არჩეული ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, წარმოადგენს კომპლექსურ სამართლებრივ პრობლემას. შესაბამისად, შემდეგი ქვეთავის მიზანია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სტანდარტების ჭრილში წარმოაჩინოს მსგავსი ტიპის შეფარული ცენზების სისტემური რისკები დემოკრატიული მმართველობის, თანასწორობისა და სახალხო სუვერენიტეტის პრინციპებისათვის.

რვაწლიანი „გაგრილების პერიოდის“ კონსტიტუციური რისკები

კანონპროექტის ინიციატორთა არგუმენტაციით, რვაწლიანი „გაგრილების პერიოდი“ წარმოდგენილია, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პირის „უცხოური ინტერესისგან“ დისტანცირებას და ამ გზით, დემოკრატიული პროცესების დაცვას შესაძლო გარე გავლენებისგან. აღსანიშნავია, რომ ამ სახის ინსტრუმენტები სამართლებრივ სისტემებში ზოგადად უცნობი არ არის (სწორედ ამ არგუმენტაციას ავითარებდა მმართველი გუნდიც) და ისინი გამოიყენება, მათ შორის, საჯარო სამსახურის სფეროში, სადაც ყოფილი საჯარო მოხელეებისთვის დაწესებულია დროებითი შეზღუდვები, თუნდაც, კერძო სექტორში საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებით.

როგორც წესი, ამ სახის შეზღუდვების მიზანია პირის მიერ თანამდებობის დაკავებისას მიღებული ინფორმაციის, გავლენებისა და ინსტიტუციური რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენცია. ასეთ შემთხვევაში, შეზღუდვა მიმართულია რეალური, ობიექტურად განსაზღვრადი და უშუალოდ დემონსტრირებადი რისკებისკენ, რომლებიც გამომდინარეობს პირის მიერ უკვე განხორციელებული საჯარო ფუნქციიდან და უშუალოდ უკავშირდება მის მომავალ საქმიანობას.

საპირისპიროდ, ინიციატორთა მიერ შემოთავაზებული „გაგრილების პერიოდის“ გამართლება, როგორც ჩანს, ეფუძნება ორ წინაპირობას, რომელთა დასაბუთება კანონში ან განმარტებით ბარათში მკაფიოდ წარმოდგენილი არ არის: 1. ნებისმიერი შრომითი ანაზღაურება (მიუხედავად მისი შინაარსისა და მოცულობისა) ავტომატურად წარმოშობს პირის პოლიტიკურ ლოიალობას უცხოური ძალის მიმართ და 2. უცხოური ძალის ნება აუცილებლად ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს.

ამგვარი მიდგომა განსხვავდება ინტერესთა კონფლიქტის კლასიკური გაგებისგან და უფრო მეტად ემყარება ზოგად ვარაუდს შესაძლო ლოიალობის შესახებ, რომლის არსებობა არც

ინდივიდუალურ შეფასებას ექვემდებარება და არც ობიექტური კრიტერიუმებით დასტურდება.

ამასთან, თუნდაც აღნიშნული დაშვება გაზიარებული იყოს და ვალიდურად მიიჩნეოდეს, დაწესებული შეზღუდვები მაინც უამრავ ლოგიკურ კითხვას აჩენს. მაგალითად, რატომ არის მთავარი „გამტარი“ შრომითი ხელშეკრულება და რატომ არ ვრცელდება იგივე ლოგიკა მომსახურების ხელშეკრულებაზე? ან სად გადის ზღვარი გავლენასა და რიცხვებს შორის?

წარმოვიდგინოთ თეორიულად დასაშვები სცენარი: ორგანიზაცია, რომელიც აბსოლუტურ მაჩვენებელში უცხოეთიდან ასობით ათასის დაფინანსებას იღებს, მაგრამ ეს მისი არაკომერციული შემოსავლების მხოლოდ 19.9%-ია, კანონის მიხედვით, არ არის უცხოური გავლენის მატარებელი. ხოლო ორგანიზაცია, რომელიც შესაძლოა მცირე უცხოური გრანტით სხვადასხვა საჭიროებების მქონე ჯგუფებს ეხმარება, მაგრამ ეს თანხა მისი არაკომერციული შემოსავლების 20.1%-ს შეადგენს, პოლიტიკურად საფრთხის შემცველი სუბიექტის სტატუსს იღებს. გამოდის, რომ კანონმდებლობა ორგანიზაციაზე უცხოური ინტერესის გავლენის ხარისხს მათემატიკური სიზუსტით ზომავს. ხაზგასასმელია, რომ პრობლემურია არა თავად დაფინანსების მოცულობა (რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში ლეგიტიმური წყაროდან მომდინარეობს), არამედ ზღვრის დაწესების თვითნებური ლოგიკა, რაც სერიოზულ სამართლებრივ კითხვებს აჩენს.

შემოსავლების ოდენობასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. 2024 წლიდან მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მიხედვით, თუკი ორგანიზაცია აკმაყოფილებს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი“ ორგანიზაციის სტატუსის კრიტერიუმებს, ის ვალდებულია, დარეგისტრირდეს შესაბამის რეესტრში. თუ ორგანიზაცია ამ ვალდებულებას არ ასრულებს, დასაქმებული მოკლებულია ობიექტურ შესაძლებლობას, ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას და აკონტროლოს თავისი დამსაქმებლის შემოსავლები და ის, თუ რა მომენტიდან მიაღწია შემოსავლებმა 20%-იან ზღვარს. ახალი რეგულაცია მას არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან და ავტომატურად გაავრცელებს მასზე შეზღუდვას, იმის მიუხედავად, იცოდა, თუ - არა პირმა დამსაქმებლის ფინანსური წყაროებისა და მისი სტატუსის შესახებ.

ასევე, კანონი საერთოდ არ განასხვავებს საქმიანობის შინაარსს. რეგულაცია იდენტურ სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს როგორც პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართული პირისთვის, ისე ადამიანისთვის, რომელიც ვიწრო პროფესიულ, ჰუმანიტარულ თუ ტექნიკურ ფუნქციებს ასრულებს. ამ ლოგიკით, ორგანიზაციის ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც შესაძლოა საერთოდ არ იცნობს გრანტის მიზნებსა და შინაარსს და არ არის ჩართული ამ კონკრეტული პროექტების განხორციელებაში, 8 წლით „უცხოური გავლენების

მატარებელ“ პირად ითვლება. კანონი არ ტოვებს სივრცეს იმის შესამოწმებლად, რას აკეთებდა ის სინამდვილეში; მისთვის გადამწყვეტი მხოლოდ ჩარიცხვის ფაქტია, რაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს ბლანკეტური, კოლექტიური ეჭვით ანაცვლებს.

მეტიც, ეს ცვლილება წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს კომპლექსური საკანონმდებლო რეფორმისა, რომელიც მიმართულია მთავრობის მიერ უცხოური დაფინანსების კონტროლის ზრდისკენ. კერძოდ, „გრანტების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებით²⁶, ნებისმიერი აქტივობა, რომელიც პოლიტიკური საქმიანობის ბუნდოვან და ყოვლისმომცველ დეფინიციას აკმაყოფილებს, მთავრობის მიერ ადმინისტრირებასა და წინასწარ ავტორიზაციას ექვემდებარება. ასეთ პირობებში იქმნება პარადოქსი: როდესაც უცხოური დაფინანსების რისკებს წინასწარ აფასებს თავად მთავრობა, გასცემს თანხმობას და შემდეგ, ამავე თანხის მიღებისთვის, მაინც ზღუდავს პირის პოლიტიკურ უფლებებს, ქვეყნის ეგზისტენციალური საფრთხეების დაზღვევის ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში. ასეთი მიდგომა შეიძლება აჩენდეს საფუძვლიან ეჭვს, რომ შეზღუდვის რეალური მიზანი შეიძლება არ იყოს მხოლოდ კონკრეტული პირების პროცესებიდან ჩამოცილება. ამგვარი სამართლებრივი კონსტრუქცია შეიძლება ერთგვარ „მუსხხავ ეფექტს“ ქმნიდეს, რაც, საბოლოო ჯამში, აფერხებს ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებას.

შეზღუდვის რეალური ლეგიტიმური მიზნის გამოსაკვეთად და იმის დასაანახად, რამდენად რელევანტურია ეს მექანიზმი დასახული მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია პარალელების გავლება სხვა ტიპის „გავლენებთან“. მაგალითად, რეგულაცია არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც უშუალოდ პარტიაში გაწევრებამდე, წლების განმავლობაში, მუშაობდნენ სხვა ქვეყნის (მათ შორის, საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოს) სახელმწიფო სტრუქტურებში ან ამ ქვეყნების კანონმდებლობის საფუძველზე დაარსებულ ორგანიზაციებში, რომელთა ფოკუსიც შესაძლოა გამოკვეთილად კი იყო საქართველოს პოლიტიკაში სხვადასხვა ფორმით ჩართულობა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რთულია იმის დასახელება თუ რა არის კონკრეტული ლეგიტიმური ინტერესი, რომელსაც შეზღუდვათა ეს ჯაჭვი (მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციის, პარტიის წევრობის აკრძალვით, პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების შეუძლებლობა) უნდა ემსახუროდეს. თუ დავუშვებთ, რომ სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების დაცვა და ეგზისტენციალური საფრთხეების მართვა

²⁶ საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N1379-Vმს-XIმპ, 04/03/2026. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6803542?publication=0>

არის ლეგიტიმური მიზანი, ამ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ლოგიკური შეუსაბამობები იკვეთება, ის უწინააღმდეგება კონსტიტუციურ სტანდარტს.

საქართველოს კონსტიტუცია, „თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის“ პრინციპზე დაყრდნობით, პოლიტიკური გაერთიანების, როგორც ორგანიზებული პოლიტიკური სუბიექტის, აკრძალვას უშვებს მხოლოდ აქტიური და ობიექტურად განჭვრეტადი და იდენტიფიცირებადი საფრთხეების ნეიტრალიზებისთვის. კონსტიტუციური სტანდარტი არ უშვებს პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას პირის შინაგანი განწყობების, გაუცხადებელი განზრახვების ან ჰიპოთეტური ინტერესების საფუძველზე, რომლებიც აქტიური პოლიტიკური ქმედებით არ გამოხატულა. ამის საპირისპიროდ, შესაძლო განწყობებთან ბრძოლა, მით უფრო, კანონიერი შრომითი ბიოგრაფიის აპრიორი საფრთხედ გამოცხადება, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისთვის უცხოა.

განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც კანონმდებელი ამგვარ რისკებს მხოლოდ კონკრეტულ პირთა ჯგუფის შემთხვევაში უშვებს - იმ არგუმენტით, რომ უცხოურ ფულს დაჰყვება უცხოური ინტერესი და არ იძლევა მკაფიო დასაბუთებას, თუ რა პრინციპით ხდება ამ კონკრეტული უცხოური დაფინანსების დიფერენცირება სხვა უცხოური დაფინანსებისგან. ასეთ პირობებში, ეს რეგულაცია აღიქმება არა როგორც სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების მექანიზმი, არამედ როგორც მოქალაქეთა მიზანმიმართული გამორჩევა მათი პროფესიული საქმიანობის, შემოსავლის წყაროსა და სამოქალაქო აქტივობის ნიშნით.

როდესაც კანონმდებლობა აუქმებს უპარტიო კანდიდატთა პოლიტიკური სიით წარდგენის შესაძლებლობას და, ამავდროულად, კრძალავს პარტიაში ყოფნას შრომითი საქმიანობის საფუძვლით, ასეთი კომბინირებული ეფექტი იქცევა ხელოვნურ ბარიერად, რათა გარკვეული ჯგუფები საერთოდ ვერ მიუახლოვდნენ საარჩევნო პროცესს. ეს კი პასიურ საარჩევნო უფლებას საყოველთაო უფლებებიდან პრივილეგიად გადააქცევს.

8-წლიანი პერიოდის პროპორციულობა და ვადის ათვლის წერტილი

ლეგიტიმურ ინტერესსა და შემზღუდველი მექანიზმის ვარგისიანობასთან ერთად, განსახილველი ცვლილების კუთხით, მთავარ კითხვას შეზღუდვის ხანგრძლივობა აჩენს. კერძოდ, გაუგებარია, რა პრინციპით შეირჩა მაინცდამაინც რვაწლიანი ვადა და რატომ ვერ უზრუნველყოფდა დასახული მიზნის მიღწევას უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალება. ამ კითხვაზე პასუხი არც კანონპროექტის განხილვისას გაჟღერებულა და არც მის განმარტებით ბარათში იკითხება.

მოქალაქისთვის 8 წლის განმავლობაში სრულფასოვანი პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა ნიშნავს მის „პოლიტიკურ დასჯას“ და ჩამოცილებას ზედიზედ ორი საარჩევნო ციკლიდან, მხოლოდ მისი წარსული, კანონიერი შრომითი კონტრაქტის გამო. პარადოქსულია, რომ პირი, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია, იმაზე მკაცრად „ისჯება“, ვიდრე ბევრი სისხლის სამართლის დამნაშავე (მათ შორის, სამოხელეო თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის მსჯავრდებულები კი), რომელთაც, სასჯელის მოხდის შემდეგ, პასიური საარჩევნო უფლება სრულად აღუდგებათ.

ევროპის საბჭოს არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლის ექსპერტთა საბჭოს 2026 წლის 18 მარტის დასკვნის თანახმად, მოცემული შეზღუდვა ვერ ჩაითვლება დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად, გაერთიანების თავისუფლებისა და არჩევნებში კენჭისყრის უფლების შეზღუდვისთვის, რადგან არ დასტურდება მისი დაწესების გადაუდებელი სოციალური აუცილებლობა. ამასთან, საბჭო მიიჩნევს, რომ ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებშიც კი, რვაწლიანი აკრძალვა ცალსახად გადაჭარბებულად მიიჩნეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, მით უფრო, იმ პირობებში, როცა შეზღუდვა არ მოითხოვს პირის მხრიდან რაიმე კონკრეტული მტრული ქმედების განხორციელებას საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ.²⁷

კიდევ უფრო კრიტიკულია შეზღუდვის დროში მოქმედების საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკაში ეს მექანიზმი ჯერ არ გამოყენებულა, უცნობია, შეზღუდვა გავრცელდება მხოლოდ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ დადებულ შრომით ხელშეკრულებებზე, თუ ყველა იმ ურთიერთობაზე, რომლებიც ითვალისწინებდა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციიდან ანაზღაურების მიღებას“ და რომელთა დასრულებიდანაც არ გასულა „გაგრილების“ რვაწლიანი პერიოდი.

კანონის მიზნებიდან და ინიციატორთა მიერ დეკლარირებული საფრთხეებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ათვლის წერტილი არ უკავშირდება კანონის ძალაში შესვლას. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ ასეთ შემთხვევაში, ბევრი პირი, რომლებიც ამ დრომდე უცხოურ დაფინანსებაზე იყვნენ დამოკიდებული და როგორც ავტორები განმარტავენ, უცხოურ გავლენებს ატარებდნენ, დაუბრკოლებლად შეძლებს

²⁷ევროპის საბჭოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების (INGO) კონფერენციის არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) სამართლის ექსპერტთა საბჭო, „დასკვნა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და რამდენიმე სხვა დაკავშირებულ კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ“, CONF/EXP (2026)2, 18 მარტი 2026, პარ. 163. <https://rm.coe.int/coe-expert-council-georgia-opinion-march-2026/48802affaa>

პოლიტიკურ პარტიაში გაწევრებას და შეინარჩუნებს პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების შესაძლებლობას.

მეტიც, ცვლილებათა პაკეტის კუმულატიური მოქმედება, რომელიც უცხოური დაფინანსებით აქტივობის უკიდურესად ლიმიტირებულ სივრცეს ტოვებს, მთავრობის მხრიდან მკაცრ კონტროლსა და წინასწარ ნებართვას ექვემდებარება. შესაბამისად, მომავალში უცხოურ ფულს ისედაც მკაცრი სამთავრობო ფილტრის გავლა მოუწევს, რის პირობებშიც, ასეთი კატეგორიის შეზღუდვა - 8 წლით პოლიტიკაში (პარტიულ საქმიანობაში სრულფასოვანი) ჩართულობის აკრძალვა - ვერ გაუძლებს თანაზომიერების მკაცრ ტესტს.

შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინიციატორთა მთავარ სამიზნეს ის პირები წარმოადგენენ, რომელთაც უკვე აქვთ ამ სახის შრომითი გამოცდილება. თუმცა, თუ შეზღუდვის ათვლის წერტილად წარსულში განხორციელებული ბოლო ტრანზაქცია მიიჩნევა (და არა - კანონის ამოქმედების თარიღი), საქმე გვექნება კანონის რეტროსპექტიულ მოქმედებასთან, რაც ფუნდამენტურად არღვევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ნდობის პრინციპს.

კერძოდ, წლების წინ, როდესაც პირი დებდა შრომით ხელშეკრულებას, ის ენდობოდა სახელმწიფოს, რომ მისი კანონიერი შრომა მომავალში მისი უფლებების შეზღუდვის, მათ შორის, პოლიტიკური დისკვალიფიკაციის საფუძელი არ გახდებოდა. მეტიც, 2024 წლამდე „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ ნორმატიული დეფინიცია არ არსებობდა, არც შესაბამისი რეესტრი და მოლოდინი, რომ შესაძლოა ამ ორგანიზაციებს სახელმწიფო განსხვავებულ სტატუსს ანიჭებდეს და მათთან გაწეული შრომა რაიმე ფორმით საფრთხისშემცველად აღიქმებოდეს.

შესაბამისად, მოქალაქეს არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა შესაძლებლობა, წინასწარ განეჭვრიტა საკუთარი ქმედების ასეთი მკაცრი სამართლებრივი შედეგი. გასათვალისწინებელია საქართველოს კონტექსტიც, სადაც, წლების განმავლობაში, მსგავსი ორგანიზაციები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ წამყვან პლატფორმას იმ პირთა დასასაქმებლად, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკის სხვადასხვა სფეროთი იყვნენ დაინტერესებული. ამ საფუძვლით პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა ნიშნავს, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს მიღმა რჩება სწორედ ის კვალიფიციური რესურსი, რომელმაც კონკრეტულ დარგებში სიღრმისეული ექსპერტიზა და გამოცდილება დააგროვა.

სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ადამიანს „სამართლებრივი ხაფანგი“ დაუგოს და წარსულში ჩადენილი ლეგიტიმური ქმედება მომავალში უფლებების წართმევის საფუძვლად გამოაცხადოს. თუ კანონის აღსრულება ამ ფორმით დაიწყება, ეს „შეფარული

რეტროაქტიულობა“ იქნება. კერძოდ, უფლების ჩამორთმევის საფუძვლად გამოიყენება წარსულში დასრულებული, იმ დროისთვის სრულიად ლეგალური ქმედება. ასეთი მიდგომა ანგრევს სამართლებრივი ნდობის პრინციპს - მოქალაქეს ერთმევა შესაძლებლობა, განჭვრიტოს საკუთარი ქმედების შედეგები და ენდოს სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესრიგს.

შესაბამისად, ამ შეზღუდვასთან მიმართებით, ვადის ათვლის წერტილი კრიტიკულად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. განმარტებითი ბარათის ჩანაწერი, რომელიც ამბობს, რომ კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის შესაძლებლობას, ძლიერი არგუმენტი სასამართლოში უფლებების დასაცავად, რადგან წარმოაჩენს, რომ არც კანონმდებლის განზრახვა მოიცავდა ნორმის რეტროაქტიულ ინტერპრეტაციას. გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილებას უფლების შეზღუდვის შესახებ იღებს აუდიტის სამსახური და მისი გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს შეზღუდვის მოქმედებას. ეს ქმნის ამგვარი გადაწყვეტილების ისეთ დროს მიღების საფრთხეს, როცა თუნდაც სასამართლოში გასაჩივრების უფლება არაეფექტიან მექანიზმად იქცევა.

რეზიუმე

წინამდებარე ანალიზი აჩვენებს, რომ განხილული საკანონმდებლო ცვლილებები ქმნის პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის კომპლექსურ კონსტრუქციას, რომლის ფარგლებშიც, პირი ფორმალურად ინარჩუნებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სტატუსს, თუმცა პრაქტიკაში უზღუდება იმ სამართლებრივ პლატფორმაზე წვდომა, რომელიც აუცილებელია ამ უფლების რეალიზებისთვის.

შესაძლო არგუმენტაცია, თითქოს ეს ცვლილებები არა - საარჩევნო ცენზის დაწესებას, არამედ პარტიული საქმიანობის შიდა მოწესრიგებას წარმოადგენს, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ ნორმის ფორმალური კლასიფიკაცია, არამედ მისი მატერიალური ეფექტი. მაშინ, როდესაც რეგულაციის შედეგი არის პირის საარჩევნო პროცესიდან დისტანცირება, იგი, არსობრივად, შეიძლება შეფასდეს, როგორც პასიური საარჩევნო უფლების შემზღუდველი მექანიზმი, მიუხედავად მისი ფორმალური საკანონმდებლო კონსტრუქციისა.

პასიური საარჩევნო უფლების ეფექტური დაცვა მოითხოვს, რომ კანდიდატობის მსურველს არ ექმნებოდეს ხელოვნური დაბრკოლებები, რომლებიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ქვეყნის უზენაესი კანონით. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, ორდინალური კანონმდებლობით საარჩევნო უფლების

შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება დემოკრატიული მმართველობისთვის რეალური და იდენტიფიცირებადი, ეგზისტენციალური საფრთხეების პრევენციას, ხოლო თავად შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპის განუხრელი დაცვით ხდება.

აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, განხილული რეგულაციების შემთხვევაში ჩნდება კითხვები როგორც ლეგიტიმური მიზნის საკმარისად მკაფიო განსაზღვრის, ისე გამოყენებული საშუალებების პროპორციულობის შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ შეზღუდვა ეფუძნება ფართო და ზოგად წინაპირობებს, რომლებიც არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ გარემოებებს და არ მოითხოვს კონკრეტული რისკების დადასტურებას. ასეთ პირობებში, არსებობს საფრთხე, რომ პასიური საარჩევნო უფლება პრაქტიკაში დამოკიდებული გახდეს პირის პროფესიულ საქმიანობასა თუ შემოსავლის წყაროზე, რაც საყოველთაო უფლების პრივილეგიად ტრანსფორმაციას გამოიწვევს. მსგავსი პრაქტიკა დამანგრეველია სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპისა და აჩენს მომავალში ანალოგიური შეზღუდვის მოქალაქეთა სხვა ჯგუფზე გავრცელების რისკებს, მათ შორის, შრომითი ბიოგრაფიის ან სხვა, თვითნებურად შერჩეული ნიშნით.

შესაბამისად, წარმოდგენილი რეგულაციები აჩენს მნიშვნელოვან კონსტიტუციურ კითხვებს, რომლებიც უკავშირდება როგორც პასიური საარჩევნო უფლების არსს, ისე სახალხო სუვერენიტეტის ეფექტურ განხორციელებას. იმისთვის, რომ კონსტიტუციური გარანტიები არ იქცეს მხოლოდ დეკლარაციულ ჩანაწერებად, უმნიშვნელოვანესია საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ეფექტური განხორციელება და არა - დათმობა ან იგნორირება, როგორც ეს გარკვეულწილად ნარკოტიკულ დანაშაულთათვის ნასამართლევ პირებისთვის პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის საქმეზე მოხდა.